ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დეკრეტი № 9

## საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა ჯარის ნაწილებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, მოსპობილ იქნეს წერა-კითხვის უცოდინარობა იმ ჯარის ნაწილებში, რომელიც იმყოფება ს. ს. ს. რესპუბლიკას ტერიტორიაზე. ამიტომ იგი წინადადებას აძლევს სამხედრო და საზღვაო და განათლების სახალხო კომისრებს ჯარში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისიაში დანიშნონ თავისი პასუხისმგებელი წარმომადგენელნი.

2. რადგან ჯარში წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის საქმეს საომარი ოპერაციების მაგვარი მნიშვნელობა აქვს, რევოლიუციონური კომიტეტი წინადადებას აძლევს მთავრობის ყველა დაწესებულებათ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს გაუწიონ რამდენადაც შესაძლებელია ფართო დახმარება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისიას, როგორც ქონებრივი საშუალებით, ისე ცოცხალი ძალებით. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დაწესებულება ან ორგანიზაცია უარს იტყვის საგანგებო კომისიისათვის შესაძლებელ დახმარების აღმოჩენაზე, ეს ჩაითვლება ჯარის გაწვრთნისაკენ მიმართულ მოქმედებად და დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

3. ჯარში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისიას ამით უფლება ეძლევა:

ა) მოახდინოს ნაწილობრივი მობილიზაცია არა მშრომელ ინტელიგენციისა.

ბ) მოახდინოს ნაწილობივი მობილიზაცია სასწავლო დარგის მუშავებისა რამდენიც საჭირო იქნება.

4. ყველა იმ პირს, რომელიც მობილიზაციით გაწვეულ იქნება ჯარში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ, შეენახება თავის სამსახურის ადგილი კუთვნილი ჯამაგირით, ხოლო თუ იგი გაიგზავნება წითელ არმიის ნაწილებში, მას მიეცემა დამატებით ჯამაგირი საგანგებო კომისიის თანხებიდან იმ თვიური ჯამაგირის რაოდენობისა, რომელიც მას ეძლეოდა მობილიზაციით გაწვევამდე.

მობილიზაციით გაწვეულ პირთა ოჯახები მიიღებენ ულუფას საერთო წესით, ამასთანვე აკრძალულია მათი გადასახლება ბინებიდან, თუ ამისათვის არ იქნა საგანგებო კომისიის თანხმობა.

5. განათლების სახალხო კომისარს ევალება ჯარში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საჭიროებისათვის არჩვეულებრივი კრედიტის წესით გასცეს საჭირო თანხა, ხოლო საგანგებო კომისია ვალდებულია ჯარში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შემდეგ, წარმოადგინოს დაწვრილებითი ანგარიში გაწეული ხარჯის დამამტკიცებელი საბუთებით.

6. საგანგებო კომისიის წევრებს და აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც გაიგზავნებიან მის მიერ, უფლება აქვთ უფასოდ და რიგს გარეშე იმგზავრონ რესპუბლიკის გზებით.

7. სასამართლო დაწესებულებებმა და კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველად არსებულმა საგანგებო კომისიამ ჯარში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისიის მიერ აღძრული საქმეები უნდა განიხილონ სასწრაფოდ და დამნაშავეთ მიუსაჯონ უდიდესი სასჯელი.

საქართველოს ს. ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონურ
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

განათლების სახალხო კომისარი **ა. სვანიძე**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე**

31 მარტის 1921 წ.

ქ. ტფილისი — [illegible].

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ДЕКРЕТ № 9

**Революционного Комитета Социалистической Советской Республики Грузии о ликвидации неграмотности в частях армии.**

1. В целях ликвидации неграмотности в частях армии, расположенной на территории Социалистической Советской Республики Грузии, Народным Комиссарам по военным и морским делам и Просвещения предлагается делегировать в состав Чрезвычайной Комиссии по ликвидации неграмотности в частях армии ответственных работников для окончательной ликвидации неграмотности в армии.

2. В виду оперативного, боевого значения придаваемого делу ликвидации неграмотности, всем правительственным учреждениям и профессиональным организациям предлагается оказывать Чрезвычайной Комиссии по ликвидации самое широкое и возможное содействие как материальными средствами, так и живыми силами.

Неоказание возможного содействия будет разсматриваться как акт, направленный к разложению армии, и виновные в этом будут привлечены к ответственности согласно законам революционного времени.

3. Чрезвычайной Комиссии по ликвидации неграмотности настоящим предоставляются следующие полномочия:

а) Право частичной мобилизации нетрудовой интеллигенции.

б) Право частичной мобилизации школьных работников в необходимом количестве.

4. Лица, мобилизованные для ликвидации неграмотности, сохраняют за собой места службы и оклады жалования по занимаемой должности, а в случае командирования в красноармейския части получают дополнительное жалованье в размере месячного оклада по той-же должности, из средств Чрезвычайной Комиссии по ликвидации неграмотности.

Семьи мобилизованных пользуются обще-гражданским пайком и не могут быть выселяемы из занимаемых ими квартир, без согласия на то Чрезвычайной Комиссии.

5. Для покрытия расходов по ликвидации неграмотности в частях армии Народному Комиссару Просвещения предлагается открыть соответствующий кредит в чрезвычайном порядке.

Чрезвычайная Комиссия по ликвидации неграмотности обязана представить подробный отчет с приложением оформленных оправдательных документов.

6. Членам Чрезвычайной Комиссии по ликвидации неграмотности в частях армии и лицам, командируемым Ч. К. представляется право безплатного и внеочередного проезда по путям Республики.

7. Судебные установления и Чрезвычайная Комиссия по борьбе с контр-революцией разбирают дела возбужденные Чрезвычайной Комиссией по ликвидации неграмотности в срочном порядке и налагают на виновных высшую меру наказания.

Председатель Революционного Комитета
Социалистической Советской Республики
Грузии **Ф. Махарадзе.**

Народный Комиссар Просвещения **А. Сванидзе.**

Секретарь Революционного Комитета **Ш. Габрилидзе.**

31 марта 1921 г.
Тифлис-Дворец.